

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი, \_\_\_ ივნისი, 2024 წ

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 286-291-ე პუნქტები:

| №   | მისამართი  | ობიექტის დასახელება                    | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები |                       |
|-----|--|--|-----------------|---------------------|-----------------------|
|     |  |  |                 | მიწის ფართი (კვ.მ.) | შენობის ფართი (კვ.მ.) |
| 286 | ქ. ბათუმი, მარკოზ აჭარელის ქ. №7ა-ს მიმდებარედ                 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.30.32.045    | 51                  | —                     |
| 287 | ქ. ბათუმი, მარკოზ აჭარელის ქ. №7ა-ს მიმდებარედ                 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.30.34.054    | 70                  | —                     |
| 288 | ქ. ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი №95ა-ს მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.28.187    | 48                  | —                     |
| 289 | ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №96-ის მიმდებარედ                    | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.26.03.102    | 37                  | —                     |
| 290 | ქ. ბათუმი, დასახლება ფერია                                     | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.26.32.233    | 67                  | —                     |
| 291 | ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ჩიხი №1-ის მიმდებარედ               | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.29.286    | 147                 | —                     |

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 286 -291-ე პუნქტები:

| №   | მისამართი                                      | ობიექტის დასახელება                    | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები |                     | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|-----|--|--|-----------------|---------------------|---------------------|---------------------------------------|---------------------------------------|--|
|     |  |  |                 | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) |                                       |                                       |  |
| 286 | ქ. ბათუმი, მარკოზ აჭარელის ქ. №7ა-ს მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.30.32.045    | 51                  | —                   | 36 600                                | უპირობო                               | ხელშეკრულების გაფრომებიდან 15 კალენდარული დღე                          |

|     |   |  |              |     |   |        |         |   |
|-----|---|--|--------------|-----|---|--------|---------|---|
| 287 | ქ. ბათუმი, მარკოზ აჭარელის ქ.№7ა-ს მიმდებარედ             | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.30.34.054 | 70  | — | 50 200 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| 288 | ქ. ბათუმი, ანდრია პირველიძის გზატკეცილი №95ა-ს მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.28.187 | 48  | — | 10 700 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| 289 | ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№96-ის მიმდებარედ                | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.26.03.102 | 37  | — | 32 300 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| 290 | ქ. ბათუმი, დასახლება ფერია                                | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.26.32.233 | 67  | — | 22 000 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| 291 | ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ჩიხი №1-ის მიმდებარედ          | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.29.286 | 147 | — | 83 000 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) მე-17, მე-80, 115-ე, 121-ე, 122-ე, 127-ე 133-ე, 149-ე, 150-ე, 185-ე და 197-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| №   | მისამართი  | ობიექტის დასახელება                    | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები |                     | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|-----|--|--|-----------------|---------------------|---------------------|---------------------------------------|-------------------------------------|--|
|     |  |  |                 | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) |                                       |                                     |  |
| 17  | ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილი ს ქ. №43-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.03.869    | 607                 | —                   | 1 050 500                             | პირობიანი                           | ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 თვე                                      |
| 80  | ქ. ბათუმი, მაქაცარიას ქ. №7/13-ის მიმდებარედ     | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.29.07.104    | 29                  | —                   | 75 200                                | უპირობო                             | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე                                      |
| 115 | ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. №154ა          | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.27.11.071    | 14                  | —                   | 21 800                                | უპირობო                             | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე                                      |
| 121 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №243ბ           | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.24.411    | 110                 | —                   | 61 700                                | უპირობო                             | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე                                      |
| 122 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №243ბ           | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.24.530    | 292                 | —                   | 166 700                               | უპირობო                             | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე                                      |

|     |  |  |              |     |   |         |         |                                   |
|-----|--|--|--------------|-----|---|---------|---------|-----------------------------------|
| 127 | ქ. ბათუმში, ასათიანის ქ. №87-ის მიმდებარედ         | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.28.38.031 | 85  |   | 125 100 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |
| 133 | ქ. ბათუმი, მელიქიშვილის მე-3 ჩიხი #4               | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.26.28.146 | 641 | — | 406 000 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |
| 149 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გაზატკ. №173-ს მიმდებარედ.   | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.24.439 | 198 | — | 90 400  | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |
| 150 | ქ. ბათუმში, ძმები ნობელის ქ. №42-ის მიმდებარედ     | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.30.15.187 | 87  |   | 61 400  | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |
| 185 | ქ. ბათუმი, მამია ვარშანიძის ქ. №170-ის მიმდებარედ  | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.31.04.119 | 204 | — | 58 100  | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |
| 197 | ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქ. №60-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.31.01.919 | 85  |   | 68 800  | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე |

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი დახელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის მ/შ**

**ლაშა მგელაძე**